გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ინდივიდუალური მეწარმე" ვაჩაგან ალვანჯიანი " -ს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფოგაში გამაჩნია ავტოგასამართი სადგური, ნაკვეთის დანიშნულება არასასოფლო სამეურნეო, ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი 1000 კვ.მ. უახლოესი დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია 1 კმ-ით. კოორდინატები X 399810 Y 4583955, ობიექტი ფუნქციონირებს 2020 წლიდან.

ავტოგასამართი სადგური გათვალისწინებულია ბენზინის და დიზელის საწვავის მომხმარებელზე რეალიზაციისათვის. საწარმოს ფუნქციონირებისათვის გათვალისწინებულია ორი მიწისქვეშა ჰორიზონტალური რეზერვუარი

- ერთი რეზერვუარი ავტობენზინისათვის10 ტონიანი ;
- ერთი რეზერვუარი დიზელის საწვავისათვის 25 ტონიანი .

ეს რეზერვუარები განთავსებულია მიწის ქვეშ. რეზერვუარი დაფარულია ანტიკოროზიული ნივთიერებებით.

საწარმო საწვავს იღებს ავტოცისტერნების საშუალებით და გადაიტანს მას მიწისქვეშა რეზერვუარებში, საწარმოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის თანახმად, გამოვლენილ იქნა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 4 წყარო (ბენზინის რეზერვუარის სასუნთქი სარქველი, სვეტ-წერტილი, დიზელის რეზერვუარის სასუნთქი სარქველი, სვეტ-წერტილი). საწარმოს დაბინძურების წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა ნახშირწყალბადები

წლიურად გათვალისწინებული აქვს რეალიზაცია გაუკეთოს მომხმარებელზე 200 ტონა ბენზინის და 200 ტონა დიზელის საწვავს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 10706
"13" 07 202
2/7 + C8ფ.
+ 03 +

საწარმოს მუშაობის რეჟიმია: დიზელის საწვავის მომხმარებელზე რეალიზაცია - 365 დღე, ბენზინის და დიზელის საწვავის მომხმარებელზე რეალიზაცია - 24 საათი .

ავტოგასამართ სადგურში ძირითადად დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა, საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ – ეკონომიკურ გარემოზე.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართით 6.3 პუნქტით „ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია " გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი №1 -"დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები"

დანართი №2 – საკადასტრო გეგმა

დანარტი N 3 – შიდა საკადასტრო აზომვითი ნახაზი გაფრქვევის წყაროების ჩვენებით

დანართი №4 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

დანართი №5 - ფოტომასალა

პატივისცემით

ვაჩაგან ალვანჯიანი